

ავტობიოგრაფია

მე, მარი კაპანაძე, დავიბადე ქალაქ მცხეთაში 1988 წლის 10 ივნისს. ვცხოვრობ ქალაქ მცხეთაში, დ. აღმაშენებლის ქუჩა N 101. გვარი შეცვლილი არ მაქვს.

2005 წელს დავამთავრე მცხეთის პირველი საჯარო სკოლა. 2005 წელს სწავლა დავიწყე და 2009 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი „მცირე აკადემია“ -ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული კურსი, ჟურნალისტიკის სპეციალობით (უმაღლესი პროფესიული). 2013 წელს დავამთავრე ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის (GIPA) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მენეჯმენტის სერტიფიცირებული კურსი (უმაღლესი პროფესიული).

2008 წლიდან 2013 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში ჟურნალისტად და კოორდინატორად, ასევე ვიღებდი მონაწილეობას გადაცემის დაგეგმვაში, რესპოდენტების შერჩევაში, ვამზადებდი პოლიტიკურ და საზოგადოებრივი გადაცემებისათვის სიუჟეტებს. 2008-09 წლებში ვმუშაობდი საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ ჟურნალისტად. 2009-2011 წლებში ვმუშაობდი გადაცემა „ჩვენი ეზო“ ჟურნალისტად. 2011-12 წლებში გადაცემა „დამზადებულია საქართველოში“ ჟურნალისტად და კოორდინატორად. 2012-13 წლებში გადაცემა „ჩვენი ოჯახი“ ჟურნალისტად.

2014 წლიდან 2017 წლამდე ვმუშაობდი ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსად. ჩემს მოვალეობებში შედიოდა ფუნქციების განაწილება განყოფილების საჯარო მოსამსახურეთა შორის, მერიის მუშაობის მასშედის საშუალებით გაშუქება, ღონისძიებების დაგეგმვა (მედიაგეგმის შემუშავება) და რესპოდენტების შეთანხმება, გასაშუქებელი თემების შეთანხმება საინფორმაციო საშუალებებთან. მერიის მიერ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებების შესახებ სატელევიზიო განცხადებების გავრცელება; შეხვედრების ორგანიზების გაწევა, სხვადასხვა ვიზიტების, გამართული შეხვედრებისა და მიღწეული შეთანხმებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მედიის საშუალებებით, ბრიფინგებით; მოქალაქეთა შეკითხვებზე პასუხის გაცემა. ხელმძღვანელი პირებისაგან ცალკეული დავალებების შესრულება; სხვადასხვა უწყებებთან და პრესამსახურებთან თანამშრომლობა.

2017 წლიდან დღემდე ვმუშაობ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში სპეციალისტად. ჩემს მოვალეობებში შედის ფეისბუქ გვერდითა და მუნიციპალიტეტის ვებგვერდის საშუალებით მომხმარებლისთვის უახლესი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც შეეხება ყველა სიახლესა და ფაქტს, რომელიც ადგილობრივი საზოგადოებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. მერიის

შეხვედრების ორგანიზება, მოქალაქეების მიღება, მედიასთან ურთიერთობა, პრეს-რელიზების მომზადება, ღონისძიებების დაგეგმვა.

მაქვს საარჩევნო გამოცდილება, 2019 წელს მონაწილეობა მივიღე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის გამოცხადებულ ტრენინგთა კონკურსში. მათთან თანამშრომლობით 2019 -20 წლებში ჩავატარე ტრენინგი საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩევლები“, 2019-20 წლებში სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები - საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისათვის“ , ასევე, 2020 წელს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგი . ვიყავი ცესკოს წარმომადგენელი თბილისის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში 2019 წელს და საქართველოს პარლამენტის არჩევნებში 2020 წელს. ასევე, ვთანამშრომლობდი არასამთავრობო ორგანიზაცია „კავშირი 21-ე საუკუნე“, სადაც დამკვირვებლის სტატუსით მივიღე მონაწილეობა 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებში, 2017 წელს თვითმმართველობის არჩევნებში , 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში, 2019 წელს მერის რიგგარეშე არჩევნებში და 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებში.

თარიღი: 6.07.2020წ.

ხელმოწერა: გ.ჯანაძე